

მარტინ ლუთერი

Martin Luther

ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ

Von der Freiheit eines Christenmenschen

თარგმანი გერმანული ენიდან
ეკუთვნის თამარ კოტრიკაძეს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2025

მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე

რედაქტორი: დავით ცომაია

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7431-4

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვა.....	4
ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ.....	11
გამომცემლობის მიერ გამოცემული მარტინ.....	73
ლუთერის წიგნები.....	73

მთარგმნელის წინასიტყვა

ევროპული საეკლესიო რეფორმაციის მამამთავარმა, მარტინ ლუთერმა, ეს თხზულება 1520 წელს დაწერა ლათინურ ენაზე რომის პაპ ლეო X-სთვის გასაგზავნად. მანამდე პაპთან რელიგიურ და საღვთისმეტყველო საკითხებზე მის კამათში პაპის ნუნციუსმა¹, კარლ ფონ მილტიცმა, ვატიკანსა და გერმანელ რეფორმატორს შორის შუამავლობა ითავა; სწორედ მან ჩააგონა ლუთერს, პაპისადმი შერიგების წერილი მიეწერა და მისთვის რაიმე საღვთისმეტყველო თხზულება მიეძღვნა.

„ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ“ ლუთერმა გერმანულადაც თარგმნა და ეს ვარია-

1. ნუნციუსი – რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან (მთარგმნ. შენიშვნა).

ნტი საჩუქრად გაუგზავნა ზაქსენის მიწის ქალაქ 'ცვიკაუ'-ს მაგისტრს, ჰერმან მიულპფორტს, ვის შესახებაც სმენოდა და ვისი გაცნობაც სურდა.

ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ მსჯელობას ავტორი ორმაგი პარადოქსული დებულებით იწყებს – ამტკიცებს რა, ერთი მხრივ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი ყველასა და ყოველივესაგან თავისუფალია და, მეორე მხრივ, რომ ის ვალდებულია ყველას ემსახურობდეს. ამ პარადოქსს საფუძვლად უდევს ადამიანის ორგვარი ბუნება: ლუთერი შინაგან ანუ სულიერ ადამიანს გარეგანი ანუ ხორციელი ადამიანისაგან ასხვავებს. ამასთან, სულიერი ადამიანი ჭეშმარიტად ყოველივესგან – მათ შორის, საკუთარი ხორცის სატანჯველისაგანაც – თავისუფალია, არაფერზე და არავისზეა დამოკიდებული, გარდა ღვთისა, და რწმენის მეშვეობით მასთან მტკიცე კავშირს ამყარებს: რწმენა მორწმუნის სულსა და ქრისტეს შორის ქორწინების საწინდარია და როგორც ცოლ-ქმარს მატერიალური ქონებაც საერთო აქვთ და ხორცილთაც ერთნი არიან, ასევე სულიც რწმენის მეშვეობით ქრისტეს ყო-

ველგვარ სათნოებას ეზიარება, ხოლო ქრისტე მის ცოდვებს საკუთარ თავზე იღებს და აუქმებს.

დიდი რეფორმატორი ილაშქრებს იმ ქადაგებების წინააღმდეგ, რომლებშიც მისი თანამედროვე ღვთისმსახურნი რელიგიურ ქმედებებს – ლოცვას, მარხვას, ქველმოქმედებას, მაშასადამე, რწმენის გარეგნულ გამოვლენებებს – არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ და აცხადებენ, თითქოს ცხოვრების ამგვარ წესზე ქრისტიანის სიმართლე და საუკუნო ნეტარება იყოს დამოკიდებული; მაშინ, როდესაც ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა რწმენისა და ქრისტიანის ვალდებულებას საერთოდაც არ წარმოადგენს. ეს ყოველივე მორწმუნემ შეიძლება მხოლოდ საკუთარი ნებით ღვთისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოსახატავად გააკეთოს. მეორე მხრივ, კეთილი საქმეები მოყვასის სასიკეთოდ, მისდამი სიყვარულის, ზრუნვისა და მოწიწების გამოსახატად უნდა კეთდებოდეს, ამასთან, მორწმუნე ამ ყველაფერს თავისუფალი ნებით და უანგაროდ სჩადის. ლუთერი დაჟინებით მიუთითებს სამღვდელოებას, რაოდენ მნიშვნელოვანია მრევლი-

მარტინ ლუთერი

ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ

ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ

ვიტენბერგი

უფლის შობიდან 1520 წელი

ჩემს კეთილგონიერ და ბრძენ ბატონს, იერონიმ მიულჰფორტს, ქალაქ ცვიკაუს მაგისტრს¹, ჩემს პატივსაცემ მეგობარსა და მფარველს, მე, დოქტორი მარტინ ლუთერი, ავგუსტინელი ბერი, უერთგულესად ვუმსახურებ და ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ!

1. მაგისტრი – აქ: საქალაქო სასამართლოს ბოქაული (მთარგმნ. შენიშვნა).

ჩემო კეთილგონიერო, ბრძენო ბატონო და დიდსულოვანო მეგობარო, ღირსმა მაგისტრმა, იოჰან ეგრანმა, თქვენი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ქალაქის მქადაგებელმა, დამარწმუნა წმინდა წერილისადმი თქვენს მხურვალე და მოშურნე სიყვარულში, რომელსაც დაუღალავად უცხადებთ და უდასტურებთ ყველას. მის სურვილს, ჩემი თავი წარგიდგინოთ, დიდი სიხარულით ვეგებები, ვინაიდან ფრიად მამულებს ცოდნა იმისა, რომ ადამიანებს ღვთის ჭეშმარიტება უყვართ. რამეთუ, სამწუხაროდ, ბევრნი, მეტადრე წარჩინებულნი და მაღალი წოდების მქონენი, ღვთიურ ჭეშმარიტებას მთელი ძალებით ებრძვიან... თუმცა კი, აგრეც უნდა იყოს, ვინაიდან ქრისტე ის ქვაკუთხედი და ნიშანია, რომელსაც მრავალი გაუწევს წინააღმდეგობას, მრავალს დაუცდება მასზე ფეხი, მრავალი დაეცემა და კვლავ წამოიშრება.

ამგვარად, ჩვენი გაცნობისა და მეგობრობის კეთილსაწყისად, ნება მიბოძეთ, მოგიძღვნათ გერმანული თარგმანი ჩემი ამ მცირე ნარკვევისა

და ქადაგებისა, რომელიც ლათინურ ენაზე რომის პაპისათვის წარსაგზავნად დავწერე, რათა ყველას ნათლად განვუმართო ჩემი მოძღვრება და პაპობის არსის შესახებ მსჯელობა, რომელიც, ვიმედოვნებ, ეჭვს არავისში გამოიწვევს.

ვრჩები თქვენი წყალობის იმედად, ხოლო ყველას უფალი გვწყალობდეს, ამენ!

1. რათა საფუძვლიანად ჩავწვდეთ იმას, თუ რას ნიშნავს ადამიანისათვის ქრისტიანად ყოფნა და როგორ გამოიყენოს ის თავისუფლება, რომელიც ქრისტემ მისთვის მოიპოვა და მასვე მიანიჭა, რის შესახებაც წმინდა პავლეს ბევრი აქვს დაწერილი - შემდეგ ორ დებულებას ჩამოვაყალიბებ:

ქრისტიანი თავისუფალია, ყოველი საგანი თავად განკარგოს და არავის მორჩილებდეს;

ქრისტიანი ყოველი საგნის ერთგული მონაა და ვალდებულია, ყველას ემსახუროს.

გამომცემლობის მიერ გამოცემული
მარტინ ლუთერის წიგნები

1. ქრისტიანთა თავისუფლების შესახებ
2. ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ